ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. "ქ. თბილისის პირველი საავადმყოფო, საუნივერსიტეტო კლინიკა" (ტელ: 577 92 42 15)

საფუძველი: 18.10.13 წ. 12/13291100-16, 16.01.14 წ. 12/13291100-16

მისამართი: წინანდლის ქ. №9

საკადასტრო კოდი: №01/17/13/001/066

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება: 30.11.10 წ. №01/2737

მშენებლობის სანებართვო მოწმობა: 30.11.10 წ. №6/2976-1

ფუნქციური დანიშნულება: საუნივერსიტეტო კლინიკა-ნეიროქირურგიის ცენტრი (სამედიცინო, საზოგადოებრივი, კომერციული) ა ბლოკი (IV კლასი), ბ ბლოკი, ერთსართულიანი შენობა (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (29.01.14) დადგინდა:

<u>ა ბლოკი:</u>

შენობის ფასადებზე კარ-ფანჯრების გაბარიტები, რაოდენობა, ადგილმდებარეობა და ნახატები არ ემხვევა საპროექტოს. დამატებულია კონდიციონერები, გამწოვი და საკომუნიკაციო მილები, ასევე დამატებულია წყალმიმღები მილები. გარე კედლებზე ასახულია კოლონების და რიგელების ფრაგმენტები. უკანა და გვერდით ფასადებზე დასამთავრებელია სამღებრო და ლესვითი სამუშაოები. ზოგიერთ მონაკვეთში ღიობები შესავსებია.

წინა ფასადის მხარეს "A-B" მონაკვეთში მეორე სართულიდან მეექვსე სართულის ჩათვლით მინის ოვალურ სივრცეში გაუქმებულია პროექტში ნაჩვენები ერკერი. "N-K" მონაკვეთში პირველ სართულზე კარის გვერდით გაუქმებულია ვიტრაჟი. მეექვსე სართულზე "A-E" მონაკვეთში დამატებულია ორი კარის ღიობი. "E-K" მონაკვეთში +3.30 ნიშნულის ქვევით კედელი მოპირკეთებულია ქვის ფილებით.

უკანა ფასადზე ±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია კიბეები. "F-E" მონაკვეთში +26.40 ნიშნულის ზევით სვეტებს შორის კედლები მოსაწყობია. "F-F" ღეძთან მოწყობილია ამწე მექანიზმი.

დეკორატიული ჟალუზები და წარწერები არ ემთხვევა საპროექტოს.

VI სართულზე (შენობის შიგნით) ოთხ ადგილას სართულშუა გადახურვის ფილის დონე აწეულია დაახლოებით 0.80 მ.-ით.

+35.70 ნიშნულზე (სახურავზე) "3-5" და "5-9" მონაკვეთებში ორ ადგილას, გაზრდილია საპროექტო სამანქანო განყოფილებების ფართი და დამატებულია ფრამუგის ღიობები. კიბეები არ ემთხვევა საპროექტოს.

"2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 24.0 მ^2 ფართის მიშენება, ხოლო "5-3" მონაკვეთში შენობის წინ მოწყობილია 65.0 მ^2 ფართის საქვაბე.

“6-1” მონაკვეთში –I სართულში (სარდაფში) დამატებით შექმნილია დაახლოებით 250.0 მ^2 ფართის სივრცე, ხოლო წინა მხარეს ასევე შექმინილია ფართი 190.0 მ^2. ამავე მონაკვეთში I სართულზე “F-F” ღერძზე არსებული კედელი შეწეულია “ე-ე” ღერძისაკენ დაახლოებით 1.40 მ.-ით. II სართულზე დამატებულია სვეტები, ხოლო მის თავზე +6.60 ნიშნულზე (III სართულზე) დამატებით დასხმულია ფილა ფართით დაახლოებით 250.0 მ^2, მის თავზე +9.90 ნიშნულზე ასევე დამატებით დასხმულია ფილა ფართით დაახლოებით 120.0 მ^2.

XI სართულზე “ჟ-ჟ” ღერძზე სვეტი გადაადგილებულია.

ტერიტორიაზე დამატებით განთავსებულია სარეკლამო ბანერი და დაცვის კაპიტალური ჯიხური.

ბ ბლოკი:

გაზრდილია ბ ბლოკის ფართი 230.0 მ^2-ით და დამატებულია სვეტები. აღნიშნული ობიექტის არქიტექტურული იერსახე არ ემთხვევა საპროექტოს. (კომერციული ფართის ნაცვლად მოწყობილია ავტოსადგომი.

ღობის კედელი განთავსებულია წითელი ხაზის გარეთ.

გ.გეგელაშვილი

ვ.ამისულაშვილი